ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4535701

ნომერი: AR1685072

თარიღი : 03.06.2019

გაცემის თარიღი : 07.06.2019

გაცნობის თარიღი : 10.06.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, დაბა კოჯორი, ბიოლის ქუჩა, N 1;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეა გადრანი პ/ნ 01009007858
- ნუცუბიძის ქ. კორ 4 ბ.16

ნომენკლატურა :

- სასტუმრო
- III კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: სასტუმრო
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გიორგი მექერიშვილი

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს."მედგრუპ ჯორჯია"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 205206873
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: თეა გადრანი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01009007858

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 4398323
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 6.03.2019

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2019 წლის 3 ივნისის AR1685072 განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ მრავალფუნქციური კომპლექსის ვადაგაუსვლელი მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელებას. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
თქვენ მიერ წარმოდგენილ არსებული სიტუაციის ამსახველ ფოტოებითა და სამსხურში #AR1595370 განაცხადზე წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ საპროექტო ობიექტზე სამშენებლო სამუშაოები ნაწარმოებია შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 57-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ სამშენებლო ობიექტზე არ არის განხორციელებული ისეთი სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც ამ დადგენილების შესაბამისად საჭიროებენ მშენებლობის ახალ ნებართვას. ამასთან, ზემოაღნიშნული დადგენილების 63-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თუ წარმოებული მშენებლობის შედეგად სამშენებლო დოკუმენტში განხორციელდა ცვლილებები, რაც საჭიროებს მშენებლობის ახალ ნებართვას, ან/და წარმოებულია უნებართვო მშენებლობა, მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე დამრღვევის მიერ შესაბამისი დარღვევისათვის გამოცემული აქტისა და დაკისრებული ჯარიმის გადახდის ქვითრის წარდგენის შემდეგ, გარდა „პროდუქტის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 25 პრიმა მუხლის, ამ დადგენილების 62-ე მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებისა.
აქედან გამომდინარე, სამსახური ვერ განიხილავს ვადაგაუსვლელი მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების საკითხს და ვერ დააკმაყოფილებს თქვენს მოთხოვნას. საჭიროა, შესაბამისი ელექტრონული განაცხადით მომართოთ სამსახურს შეთანხმებული პროექტის კორექტირებასა და მშენებლობის ნებართვის გაცემაზე და დამატებით ფაილში წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ გაცემული დადგენილება სამშენებლო–სამართალდარღვევის საქმეზე და შესაბამისი დარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი; მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის კალენდარული გრაფიკი განაახლეთ ნაწარმოები მშენებლობის შესაბამისად (ეტაპების სახით გაწერეთ დარჩენილი სამუშაოები) და წარმოადგინეთ არსებული სიტუაციის ამსახველი უახლესი ფოტომასალა თარიღის მითითებით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.